

# გარდაბანში თბოელექტროსადგური 2019 წელს ამუშავდება



გარდაბანში თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვება 2019 წლისთვის იგეგმება. კომპანია “სიპაუერმა” თბოელექტროსადგურიდან ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორთან (ესკო) უკვე გააფორმა.

ესკო-ს ცნობით, „სიპაუერი“ უზრუნველყოფს გარდაბანში 150-300 (+/- 10% ) მგვტ სიმძლავრის ნახშირის თბოსადგურის მშენებლობასა და ექსპლუატაციას, რაც მოიცავს „ნახშირის თბოსადგურის“ მიერ ელექტროენერჯის წარმოებისათვის (მათ შორის ყოველ საათობრივად 150 მგვტ სიმძლავრით დატვირთვით მუშაობისას) მუდმივად საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული ქვანახშირის გამოყენების პირობას.

გარდაბნის თბოელექტროსადგურის პროექტის განმახორციელებელი “სიპაუერი” GIG-ის შვილობილი კომპანიაა.

<http://imedinews.ge/ge/ekonomika/8172/gardabanshi-tboeleqtrosadguri-2019-tsels-amushavdeba>